



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
National Statistics Office of Georgia

შინამეურნეობებში ენერგორესურსების მოხმარება

ENERGY CONSUMPTION IN HOUSEHOLDS



თბილისი 2017 TBILISI

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
NATIONAL STATISTICS OFFICE OF GEORGIA

**შინამეურნეობებში
ენერგორესურსების მოხმარება**

**ENERGY CONSUMPTION
IN HOUSEHOLDS**

თბილისი 2017 TBILISI

შინამეურნეობებში ენერგორესურსების მოხმარება
Energy Consumption in Households

რედაქტორი Editor

გოგიტა თოდრაძე Gogita Todradze

გამოცემაზე პასუხისმგებელი პირები Persons responsible for the edition

გოგიტა თოდრაძე Gogita Todradze

გიორგი სანაძე Giorgi Sanadze

კრებულის გამოცემაზე მუშაობდნენ Persons worked on the publication

გიორგი სანაძე Giorgi Sanadze

მარინე გოგოლაძე Marine Gogoladze

მაკა კინწურაშვილი Maka Kintsurashvili

ხათუნა მოქია Khatuna Mokia

ლელა ნონიკაშვილი Lela Nonikashvili

გაგა გელაშვილი Gaga Gelashvili

ნინო ლორია Nino Loria

ნუნუ წულაძე Nunu Tsuladze

ნინო ბერიძე Nino Beridze

© საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2017

© National Statistics Office of Georgia, 2017

ცოტნე დადიანის ქ. 30, თბილისი 0180
30, Tsothe Dadiani Str. Tbilisi 0180

ტელ/Tel.: (+995 32) 36 72 10 (200)

ფაქსი/Fax: (+995 32) 36 72 13

ელ-ფოსტა / e-mail: info@geostat.ge
www.geostat.ge

ს ა რ ჩ ე ვ ი

CONTENTS

წინასიტყვაობა.....	7
Foreword.....	8
გამოკვლევის პროგრამა.....	9
Survey Program	12
გამოკვლევის ძირითადი შედეგები.....	15
The main results of survey.....	15
ნაწილი 1. შინამეურნეობების მონაცემები.....	17
Part 1. Household characteristics.....	17
საცხოვრისის მახასიათებლები.....	20
Dwelling characteristics.....	20
ნაწილი 2. მონაცემები შინამეურნეობებში ენერგორესურსების მიღებისა და მოხმარების შესახებ.....	30
Part 2. Data related purchasing and consumption of energy forms.....	30
შინამეურნეობებში ენერგორესურსების მოხმარება.....	32
Consumption of energy forms in households.....	32
ენერგორესურსების მარაგების მოცულობა 01.05.2017 მდგომარეობით.....	33
Stock of available energy forms by 01.05.2017.....	33
ნაწილი 3. საცხოვრისების მახასიათებლები.....	34
Part 3. Dwelling characteristics.....	34
3.1 საცხოვრისების ძირითადი მახასიათებლები.....	34
3.1 General characteristics of dwellings.....	34
3.2 საცხოვრისების განაწილება რეკონსტრუქციის წლების მიხედვით.....	35
3.2 Distribution of dwellings by the year of reconstruction.....	35

3.3 საცხოვრისების განაწილება საერთო ფართობის მიხედვით.....	36
3.3 Distribution of dwellings by total area.....	36
3.4 საცხოვრისების საერთო ფართობის სტრუქტურის განაწილება	
შინამეურნეობების წევრთა რაოდენობის მიხედვით.....	37
3.4 Distribution of total dwelling area structure by household size.....	37
3.5 საცხოვრისების განაწილება გათბობის ტიპების მიხედვით.....	38
3.5 Distribution of dwellings by type of heating.....	38
3.6 საცხოვრისების განაწილება წყლის გათბობის სისტემის ტიპების მიხედვით.....	39
3.6 Distribution of dwellings by type of water heating system.....	39
3.7 შინამეურნეობების განაწილება ქურებში საჭმლის მოსამზადებლად	
გამოყენებული ენერგორესურსების ტიპების მიხედვით.....	39
3.7 Distribution of households by used energy forms for cooking at cookers.....	39
3.8 შინამეურნეობების განაწილება ღუმელებში საჭმლის მოსამზადებლად	
გამოყენებული ენერგორესურსების მიხედვით.....	40
3.8 Distribution of households by used energy forms in the oven.....	40
3.9 საცხოვრისში არსებული საყოფაცხოვრებო ტექნიკის/მოწყობილობების	
რაოდენობა.....	41
3.9 Number of electrical appliances/devices in the dwelling.....	41
3.10 შინამეურნეობების განაწილება ზომის მიხედვით.....	41
3.10 Distribution of households by size.....	41
3.11 შინამეურნეობებში გამოყენებული ნათურების რაოდენობა.....	42
3.11 Number of lamps used for lighting in households.....	42
ნაწილი 4. ენერჯის მოხმარება შინამეურნეობებში.....	43
Part 4. Energy consumption in households.....	43
4.1 საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის შესყიდული ენერგორესურსები.....	43

4.1 Energy forms purchased for household needs.....	43
4.2 საკუთარი ძალებით მიღებული ენერგორესურსები.....	44
4.2 Energy forms obtained by their own power.....	44
4.3 შინამეურნეობის საჭიროებისათვის მოხმარებული ენერგორესურსები	
01.05.2016 - 01.05.2017 პერიოდისთვის.....	45
4.3 Energy forms consumed for household needs by 01.05.2016-01.05.2017.....	45
4.4 ენერგორესურსების მარაგების მოცულობა 01.05.2017 პერიოდისათვის.....	46
4.4 The amount of all available energy stock for the period 01.05.2017.....	46
4.5 სატრანსპორტო საშუალებებში მოხმარებული ენერგორესურსები.....	46
4.5 Energy forms consumed in vehicles.....	46
4.6 შინამეურნეობების განაწილება საშუალო ყოველთვიური ფულადი	
შემოსავლის მიხედვით.....	46
4.6 Distribution of households by average monthly monetary income.....	46
ნაწილი 5. შინამეურნეობის ეკონომიკური საქმიანობა.....	47
Part 5. Economic activities of Household.....	47
ტერმინთა განმარტებები.....	49
Glossary.....	49
დანართი.....	59
Appendix.....	59

შემოკლებები / Abbreviations

მმ - მილიმეტრი	mm - millimeter
მ - მეტრი	m - meter
მ ² - კვადრატული მეტრი	m ² - square meter
მ ³ - კუბური მეტრი	m ³ - cubic meter
კმ - კილომეტრი	km - kilometer
კმ ² - კვადრატული კილომეტრი	km ² - square kilometer
კგ - კილოგრამი	kg - kilogram
მლნ. - მილიონი	mil. - million

პირობითი აღნიშვნები / Symbols

...	- მონაცემები არ არის ან კონფიდენციალურია / Data not available or confidential
-	- მოვლენა არ არსებობს / Magnitude nil
0.0	- მაჩვენებლის სიდიდე უმნიშვნელოა / Negligible magnitude
X	- მაჩვენებელი არ გამოიყენება / Not applicable

ცალკეულ შემთხვევებში უმნიშვნელო განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა კამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

The discrepancy between the totals and the sum in some cases can be explained by using rounded data.

წინასიტყვაობა

2016 წლის 14 ოქტომბერს საქართველო გახდა ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების წევრი, რაც ქვეყანას აძლევს შესაძლებლობას, შექმნას ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი ენერგეტიკული სექტორი, განავითაროს კონკურენტული ბაზარი, გააუმჯობესოს საინვესტიციო გარემო, აამაღლოს ენერგეტიკული უსაფრთხოების ხარისხი და ხელი შეუწყოს განახლებადი ენერგეტიკული წყაროების განვითარებასა და ენერგოეფექტურობას.

ენერგეტიკული გაერთიანების წევრობით საქართველო იღებს ვალდებულებას, შეასრულოს ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს რეგულაციებით გათვალისწინებული მოთხოვნები, ენერგეტიკის სტატისტიკის შესახებ.

ერთ-ერთი ზემოთ აღნიშნული რეგულაციით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების მიზნით, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა 2017 წელს განახორციელა შინამეურნეობების სექტორში ენერგორესურსების მოხმარების სტატისტიკური გამოკვლევა, რომლის შედეგად მიღებული ინფორმაციაც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ განისაზღვროს შინამეურნეობებში ენერგორესურსების მოხმარების სტრუქტურა.

გამოკვლევის შედეგები ერთის მხრივ, მნიშვნელოვანია ენერგეტიკის სტატისტიკის მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით, ხოლო მეორეს მხრივ, უზრუნველყოფს ენერგეტიკული გაერთიანების წევრი ქვეყნების შესაბამის მონაცემებთან შესადარისობას.

სრულყოფილი და დეტალური მონაცემები შინამეურნეობებში ენერგორესურსების საბოლოო მოხმარების შესახებ, წარმოადგენს ქვეყანაში ენერგოეფექტურობის ინდიკატორების გაანგარიშების საფუძველს, რაც აუცილებელია ენერგეტიკის სექტორში არსებული ტენდენციების ანალიზის თვალსაზრისით. გარდა ამისა, აღნიშნული ინფორმაცია მეტად მნიშვნელოვანია ენერგეტიკული მდგომარეობის მონიტორინგის თვალსაზრისით როგორც ქვეყნის, ისე საერთაშორისო დონეზე და დაკავშირებულია გლობალური პოლიტიკის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებთან, როგორცაა კლიმატური ცვლილებები და ენერგეტიკული უსაფრთხოება.

პუბლიკაცია ეფუძნება 2017 წელს საქსტატის მიერ, შინამეურნეობების სექტორში ჩატარებული ენერგორესურსების მოხმარების გამოკვლევის შედეგებს, რომელიც განხორციელდა ენერგეტიკული გაერთიანების სეკრეტარიატის ფინანსური მხარდაჭერით.

საქმიანი შენიშვნები და წინადადებები ანგარიშის ფორმატისა და შინაარსის შესახებ მაღლიერებით იქნება აღქმული ავტორთა ჯგუფის მიერ.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

FOREWORD

On 14 October, 2016 Georgia signed an agreement to join the Energy Community, which allows the country to create energy sector in line with EU standards, develop competitive markets, improve investment environment, increase quality of energy security and promote development of renewable energy sources, as well as energy efficiency.

By signing the Energy Community treaty, Georgia undertakes commitment to implement requirements regulations and directives of European Parliament and of the council, related energy statistics.

For the purpose of implement requirements of one of above mentioned regulation, the National Statistics Office of Georgia conducted statistical survey for consumption of energy forms in the household sector, in 2017, which provides the opportunity to determine the structure of energy consumption in households.

The survey results are important in terms of improving the data quality of energy statistics, and on the other hand to obtain comparative data with member countries of the Energy Community.

Complete and detailed data on the consumption of energy forms in households is the basis for calculation of energy efficiency indicators in the country, which is essential to the analysis of the current tendencies in the energy sector. Moreover, above mentioned information is very essential to monitor the energy situation at a country level as well as at an international level and is linked to such important issues of global policy, as climate change and energy security.

The publication is based on household survey results, which was conducted by the National Statistics Office of Georgia during 2017, by the Energy Community Secretariat financial support.

Business remarks and proposals on format and contents of this publication will be perceived by the authors group with gratitude.

National Statistics Office of Georgia

გამოკვლევის პროგრამა

გამოკვლევის მიზანი

გამოკვლევის მიზანია ენერგორესურსებზე გაზრდილი მოთხოვნის და გარემოზე მათი ზემოქმედების შეფასება. აქედან გამომდინარე, გამოკვლევა მიზნად ისახავს შინამეურნეობების სექტორში ენერგორესურსების მოხმარების შესახებ დეტალური ინფორმაციის შეგროვებას, რაც მნიშვნელოვანია ენერგეტიკის სტატისტიკის მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესებისა და ენერგეტიკული გაერთიანების წევრ ქვეყნებთან მონაცემთა შესადარისობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

გამოკვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია საშუალებას იძლევა განისაზღვროს შინამეურნეობებში ენერგორესურსების მოხმარების სტრუქტურა, რაც წარმოადგენს ქვეყანაში ენერგოეფექტურობის ინდიკატორების გაანგარიშების საფუძველს.

გეოგრაფიული მოცვა

გამოკვლევამ მოიცვა ქვეყნის ყველა რეგიონი, არაკონტროლირებადი ტერიტორიის გარდა. გამოკვლევის გენერალურ ერთობლიობად გამოყენებულ იქნა მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემთა ბაზა, სადაც მოცემული იყო ქალაქის და სოფლის ტიპის დასახლებებში არსებული შინამეურნეობების სია.

შერჩევის დიზაინი

გამოკვლევისას გამოყენებულ იქნა ორსაფეხურიანი სტრატეგიული შემთხვევითი შერჩევის მეთოდი. სტრატეგიაში რესპოდენტთა შერჩევა განხორციელდა კლასტერული მეთოდით. თავდაპირველად განხორციელდა ქვეყნის მთელი ტერიტორიის სტრატეგიკაცია რეგიონისა და დასახლების ტიპის მიხედვით (სულ 20 სტრატა), ხოლო სტრატეგია თავის მხრივ დაყოფილ იქნა სააღწერო უბნებად. პირველ ეტაპზე თითოეულ სტრატაში სისტემური შემთხვევითი შერჩევის გამოყენებით შეირჩა სააღწერო უბნები, ხოლო მეორე ეტაპზე თითოეულ სააღწერო უბანში შემთხვევითობის პრინციპის გამოყენებით შეირჩა გამოსაკითხი შინამეურნეობები.

შერჩევის ზომა განისაზღვრა 3400 შინამეურნეობით, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის დონეზე 2,1%-იან ცდომილებას, ხოლო ქალაქისა და სოფლის დონეზე არა უმეტეს 5%-იან მარგინებელს.

მონაცემთა შეწონვისას, გამომდინარე იქედან, რომ სააღწერო უბნებში შერჩეული იქნა ერთი და იგივე რაოდენობის რესპოდენტები, საწყისი წონები განისაზღვრა სტრატეგების მიხედვით (სტრატაში შინამეურნეობების საერთო რაოდენობის ფარდობით გამოკითხული შინამეურნეობების რაოდენობასთან).

გამოკვლევის ინსტრუმენტარი

მონაცემთა შეგროვება განხორციელდა სპეციალური კითხვარით („ენერჯის მოხმარება შინამეურნეობებში“), რომელიც შემუშავდა საქსტატის მიერ, ენერგეტიკული გაერთიანების ექსპერტების მეთოდოლოგიური მხარდაჭერით. გარდა ამისა მომზადდა კითხვარის შევსების დეტალური ინსტრუქცია.

გამოკვლევის კითხვარის საბოლოო სახით ჩამოყალიბებამდე და შესაბამისად, სავსე სამუშაოების დაწყებამდე განხორციელდა გამოკვლევის კითხვარის ტესტირება 50 მისამართზე, პირდაპირი ინტერვიუების გზით.

ტესტირების შედეგების განხილვის შემდეგ განხორციელდა კითხვარის და მისი შევსების ინსტრუქციის საბოლოო ვერსიის ჩამოყალიბება, რომელიც დამტკიცდა საქსტატის საბჭოს მიერ (16.05.2017 N 16 დადგენილებით).

მონაცემთა შეგროვების მეთოდი

მონაცემთა შეგროვება განხორციელდა პირდაპირი ინტერვიუების მეთოდის გამოყენებით. რესპონდენტს წარმოადგენდა შერჩეული შინამეურნეობიდან ყველაზე მეტად ინფორმირებული წევრი, რომელიც უმეტეს შემთხვევაში გვევლინებოდა შინამეურნეობის უფროსად.

საანგარიშო პერიოდი

საანგარიშო პერიოდს წარმოადგენდა 01.05.2016-დან 01.05.2017-ის ჩათვლით პერიოდი, რომლის მიხედვითაც განხორციელდა კითხვარით გათვალისწინებული მონაცემების შეგროვება.

საველე სამუშაოები და მონაცემთა დამუშავება

საველე სამუშაოები ქვეყნის მასშტაბით განხორციელდა 106 ინტერვიუერისა და 8 რეგიონალური ზედამხედველის მიერ. საველე სამუშაოების დაწყებამდე თითოეულ რეგიონში ჩატარდა ინტერვიუერთა და ზედამხედველთა ტრენინგი, გარდა ამისა რესპონდენტებისათვის მომზადდა სპეციალური მიმართვის წერილი, სადაც განმარტებული იყო გამოკვლევის მიზანი და მნიშვნელობა.

მონაცემთა რედაქტირების, დამუშავებისა და კომპიუტერში ჩაწერის მიზნით, შემუშავდა სპეციალური პროგრამული პროდუქტი. მონაცემთა ბაზისთვის გამოყენებულ იქნა MS SQL Server, ხოლო ინტერფეისისათვის ვებ-აპლიკაცია (PHP ფორმატი).

რეგიონალური ზედამხედველობა

რეგიონალური ზედამხედველობა განხორციელეს საქსტატის ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელებმა, რომლებიც ეტაპობრივად ამოწმებდნენ ცალკეული ინტერვიუერის მიერ შევსებულ კითხვარებს. ისინი პასუხისმგებელი იყვნენ უზრუნველყოთ თავისი რეგიონის სამოქმედო ტერიტორიაზე შესაბამისი სამუშაოების ხარისხიანად შესრულება.

საველე სამუშაოების მონიტორინგი

საველე სამუშაოების დასრულების შემდეგ განხორციელდა საველე სამუშაოების მონიტორინგი, რომლის შედეგად დადგინდა, რომ:

1. არ დაფიქსირებულა შემთხვევა, როდესაც ინტერვიუერი არ იყო მისული შერჩევის შედეგად გამოკვლევაში მოხვედრილ ობიექტზე;
2. გამოკვლევაში მონაწილე რესპონდენტების მნიშვნელოვანმა ნაწილმა არ იცოდა ინტერვიუერის სახელი ან/და გვარი, თუმცა სქესი ყველამ ზუსტად დაასახელა;
3. გამოკვლევის კითხვარების შევსებას ინტერვიუერები ანდომებდნენ საშუალოდ 30 წუთს;
4. რესპონდენტების უმეტესობა კეთილგანწყობილი იყო ინტერვიუერთა მიმართ.

უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის განხორციელების პროცესში, რესპონდენტთა დიდი ნაწილი

კმაყოფილებას გამოთქვამდა აღნიშნული კვლევის მიმართ და ხაზს უსვამდა, რომ გამოკვლევა იყო დროული, საჭირო და მეტად საინტერესო.

გამოუპასუხებლობა

შინამეურნეობებში ენერგორესურსების მოხმარების გამოკვლევის ფარგლებში გამოუპასუხებლობამ შეადგინა 4,7%, თუმცა განხორციელდა როტაცია სარეზერვოდ გამოსაკვლევი შინამეურნეობების სიიდან, რომლის შედეგადაც უზრუნველყოფილ იქნა 3400 შევსებული კითხვარის მიღება.

როტაციის დროს გათვალისწინებული იყო ტერიტორიული ნიშანი, რაც გულისხმობდა იმას, რომ გამოუპასუხებლობის შემთხვევაში ჩანაცვლება განხორციელდებოდა იგივე რეგიონის შინამეურნეობით. ამასთან, როტაციის განხორციელებამდე ინტერვიუერს აუცილებლად უნდა ეცნობებინა რეგიონალური ზედამხედველისათვის და მსგავსი ტიპის საკითხები უნდა შეეთანხმებინა სამუშაო ჯგუფის უფროსთან.

SURVEY PROGRAM

Survey objective

The survey objective is to evaluate increased demand on energy forms and their impact on environment. Therefore, survey aims to collect detailed information on energy consumption in the household sector, which is important for improving the data quality of energy statistics and ensuring the data compatibility with the member countries of the Energy Community.

The information collected as a result of the survey provides the opportunity to determine the structure of energy consumption in households, which is the basis for calculation of energy efficiency indicators in the country.

Geographic coverage

The survey covered all regions of the country, except not controlled territory. The 2014 Population Census database was used as a sampling frame of survey, which included the list of households in urban and rural area.

Sampling design

Two stage Stratified Random Sampling method was used for the survey. Selection of respondents in strata was carried out using systematic random sampling. From the beginning, stratification of the whole territory of the country was implemented by regions and settlement type (20 strata in total), and strata were divided into enumeration areas. At first stage, enumeration areas were randomly selected in each strata and at the second stage surveyed households were selected in each enumeration area, using random sampling.

Sampling size comprised 3400 households which ensure to obtain a 2.1% sampling error by country level and no more than 5% sampling error by urban and rural area level.

The initial weighting coefficients were determined by strata (whole number of households in strata divided by number of surveyed households), because the same number of respondents were selected in enumeration area.

Survey questionnaire

Survey data was collected using special questionnaire („Consumption of Energy Forms in Households“), which was developed by the National Statistics Office of Georgia, with the methodological support of experts from

Energy Community. In addition, detailed explanatory note for completing the questionnaire was developed.

Before drafting final version of the survey questionnaire and accordingly before starting field work activities, testing of survey questionnaires were conducted at 50 addresses. In order to test survey questionnaire, face-to-face interviewing was used.

After testing the final survey questionnaire and appropriate explanatory notes were updated and submitted for approval by the Geostat Board (resolution N16, 16.05.2017).

Data collection method

Face-to-face interviewing method was used for the data collection. The respondent was the most informed member from the selected household, which in most cases was the head of the household.

Reference period

The reference period was time frame from 01.05.2016 to 01.05.2017, according to which the data was collected using the questionnaire.

Field work activities and data processing

106 interviewers and 8 regional supervisors were involved in the field work activity. Before starting field work activities, training of interviewers and regional supervisors was conducted in each region. In addition, a special letter was prepared for the respondents, which explained the purpose and importance of the survey.

A special software was developed for editing, processing and data entry. MS SQL Server was used for the database formation, and the web application (PHP) for the interface.

Regional supervision

Regional supervisors were heads of regional statistical offices. They checked step by step all questionnaires, filled by each interviewer. They were responsible for conducting the field work activities in their regions and to ensure high quality of collected data.

Field work monitoring

After field work activities field for monitoring was conducted, as a result of which it was found that:

There was not identified any case, when an interviewer didn't visited the object, selected for the survey;

Significant part of the respondents, participating in the survey didn't know name and/or surname of the interviewer, though all of them indicated the gender exactly;

It took 30 minutes on average for the interviewers to fill the survey questionnaire;

Most of the respondents were benevolent towards interviewers.

It has to be mentioned that in the process of conducting the monitoring, major part of the respondents expressed satisfaction with the survey and highlighted that the survey was timely, necessary and very interesting.

Non-response

Non-response rate in survey of consumption of energy forms in households comprised 4.7%, however the rotation was carried out from additional list of households, which resulted in receiving 3400 completed questionnaires.

Regional characteristic was considered for rotation procedure, based on which in case of no-response respondents were selected from the same region. Before making rotation, interviewers were obliged to inform regional supervisor and such kind of issues always should be agreed with the head of working group.

გამოკვლევის ძირითადი შედეგები

THE MAIN RESULTS OF SURVEY


ნაწილი 1. შინამეურნეობების მონაცემები PART 1. HOUSEHOLD CHARACTERISTICS

შინამეურნეობის მახასიათებლები. გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ქვეყანაში შედარებით მაღალია 5 და მეტ წევრიანი შინამეურნეობების წილი (შინამეურნეობების საერთო რაოდენობის 27,9%), ხოლო სტრუქტურაში ყველაზე დაბალი (14,1%) წილით არის წარმოდგენილი 1 წევრიანი შინამეურნეობები. ქვემოთ მოცემულ გრაფიკში (იხ. გრაფიკი 1) წარმოდგენილია შინამეურნეობების განაწილება წევრთა რაოდენობის მიხედვით, ქვეყნის დონეზე:

Household characteristics. According to the survey results, the share of households with 5 and more persons is relatively high (27.9% of total number of households) while the lowest share (14.1%) in the structure is represented by 1 person household. The chart below (see chart 1) shows the percentage distribution of households by number of members:

გრაფიკი 1
Chart 1


შინამეურნეობების განაწილება ზომის მიხედვით, ქვეყნის დონეზე
Distribution of households by size, at country level



მდგომარეობა თითქმის იდენტურია ქალაქის ტიპის დასახლებებში, რასაც ასახავს ქვემოთ მოცემული გრაფიკი (იხ. გრაფიკი 2):

The picture is almost the same in urban area, which is given in the chart below (see chart 2):


შინამეურნეობების განაწილება ზომის მიხედვით, საქალაქო დასახლებებში
Distribution of households by size, in urban area



რაც შეეხება სოფლის ტიპის დასახლებებს, ქალაქის დასახლებასთან შედარებით 7,7 პროცენტული პუნქტით მაღალია 5 და მეტ წევრიანი შინამეურნეობების წილი, 5,1 პროცენტული პუნქტით დაბალია - 4 წევრიანი და 4,8 პროცენტული პუნქტით - 3 წევრიანი შინამეურნეობების წილი, ხოლო 1 და 2 წევრიანი შინამეურნეობები სტრუქტურაში თითქმის ქალაქის დასახლების მსგავსი წილებით არიან წარმოდგენილები (იხ. გრაფიკი 3):

As for rural area, the share of households of 5 and more members is 7.7 percentage points higher than the urban area, 5.1 percentage points lower is share of 4 members households, 4.8 percentage points lower - share of 3 members households, but households with 1 and 2 persons in the structure are presented almost with similar shares as in urban area (see chart 3):

შინამეურნეობების განაწილება ზომის მიხედვით,
სასოფლო დასახლებებში
Distribution of Households by size, in rural area




საცხოვრისის მახასიათებლები DWELLING CHARACTERISTICS

საცხოვრისის მშენებლობის დასრულების წელი. საცხოვრისების უდიდესი ნაწილი (76,7%) აშენებულია 1951-1990 წლებში. საქალაქო ტიპის დასახლებებში, აღნიშნულ პერიოდში აშენდა მთლიანი საცხოვრისების 77,9%, ხოლო სასოფლო ტიპის დასახლებებში - 74,9%. სტრუქტურაში მეორე ადგილს იკავებს 1950 წლამდე აშენებული საცხოვრისები, რომელთა წილიც დაახლოებით 12,0%-ის ფარგლებშია, როგორც საქალაქო, ისე სასოფლო დასახლებებში. 2011 წლის შემდგომ აშენებული საცხოვრისები სტრუქტურაში უმნიშვნელო წილით არიან წარმოდგენილი (დაახლოებით 2,0%-ის ფარგლებში). აღნიშნული მონაცემები დეტალურადაა წარმოდგენილი ქვემოთ მოცემულ გრაფიკში (იხ. გრაფიკი 4).

Year of dwelling construction. Majority of dwellings (76.7%) were constructed in 1951-1990. In urban area, 77.9% of total dwellings were constructed during above mentioned period and 74.9% - in rural area. The second place in the structure takes the dwellings, constructed until 1950, with approximately 12.0% share both in urban and rural areas. The dwellings constructed after 2011 are represented by insignificant share of the structure (approximately 2.0%). The chart below represents above mentioned data in more detail (see chart 4).

გრაფიკი 4
Chart 4



აღსანიშნავია ისიც, რომ ადმინისტრაციული წყაროების მიხედვით, ბოლო პერიოდში ახალი საცხოვრებელი შენობების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის მარჯვენა ტენდენციით ხასიათდება.

It is noteworthy that according to the administrative sources, the construction and reconstruction indicator of new residential buildings, in recent years has been characterized by a tendency of growth.

საცხოვრისის საერთო ფართობი და ფართობის ნაწილი, რომელიც თბება. 2017 წლის 1 მაისის მდგომარეობით, შინამეურნეობების 42,1% ცხოვრობს 51 - 100 მ² საერთო ფართობის მქონე საცხოვრისში, 39,0% - 101 მ² და მეტი ფართობის საცხოვრისში, 12,7% ცხოვრობს 31-50 მ² ფართობის საცხოვრისში, ხოლო დარჩენილი 6,2% - 30 მ²-ზე ნაკლები ფართობის მქონე საცხოვრისში ცხოვრობს.

Total area and the heated area. On May 01, 2017, 42.1% of households lived in dwellings with total area 51-100 m², 39.0% - in dwellings with total area of over 101 m², 12.7% - in dwellings with 31-50 m², while the remaining 6.2% - lived in dwellings with total area under 30 m².

ქვემოთ მოცემულ გრაფიკში (იხ. გრაფიკი 5) წარმოდგენილია საცხოვრისების განაწილება საერთო ფართობის მიხედვით.

In the chart below (see chart 5) is provided distribution of dwellings by total area.


გამოკვლევის შედეგების მიხედვით ირკვევა, რომ მოსახლეობა საერთო ფართობიდან გაცილებით ნაკლებ ფართობს ათბობს ცივ ამინდში. ფართობის იმ ნაწილიდან, რომელიც თბება, უდიდესი წილი (42,1%) მოდის 20 მ² ან ნაკლებ ფართობზე, რაც შედარებით მაღალია (50,5%) სასოფლო დასახლებაში. რაც შეეხება საქალაქო დასახლებას - უმეტეს შემთხვევაში (41,2%) თბება 21-49 მ² ფართობი, ხოლო 35,7%-ის შემთხვევაში - 20 მ² ან ნაკლები ფართობი.

According to the survey results, during the cold season population heats much smaller space than the total dwelling space. From the part of the area that is heated, the largest share (42.1%) takes space under 20 m², which is relatively high (50.5%) in rural area. As for the urban area - in most cases (41.5%) the area of 21-49 m² and in case of 35.7% - the area of 20 m² is heated.


ქვემოთ მოცემულ გრაფიკში (იხ. გრაფიკი 6) წარმოდგენილია საცხოვრისების განაწილება გათბობით უზრუნველყოფილი ფართობის მიხედვით.

In the chart below (see chart 6) is provided distribution of dwellings by heating space.

გრაფიკი 5
Chart 5



გრაფიკი 6
Chart 6



საცხოვრისის იზოლირების ტიპი. საცხოვრისების 99,9% იზოლირებულია კედლით, კარებით და ფანჯრებით. მათი უდიდესი ნაწილის (62,2%) გარე კედლები აგებულია ქვით, ბლოკით ან აგურით. აღნიშნული მასალით აშენებული საცხოვრისების პროცენტული მაჩვენებელი გაცილებით მაღალია სოფლად (81,2%), ხოლო ქალაქში 48%-ის ფარგლებშია. საცხოვრისის გარე კედლების სამშენებლო მასალის მიხედვით მეორე ადგილს იკავებს ბეტონის ფილები, რომლითაც აშენებულია საცხოვრისების დაახლოებით 30,1%. აღნიშნული მაჩვენებელი საქალაქო დასახლებაში 49%-ის ფარგლებშია, ხოლო სოფლად - 5%-ის ფარგლებში.


Isolation type of dwelling. 99.9% of total dwellings are isolated with walls, doors and windows. Outdoor walls for majority of dwellings (62.2%) are constructed with stone, block or hollow brick. The percentage indicator of dwellings, constructed by above mentioned material is much higher in rural areas (81.2%), while in urban area is 48%. By construction materials of walls, second place takes baton, monolith and panel, which is used for construction of 30.1% of dwellings. Above mentioned indicator is within 49% in urban and approximately 5% in rural area.

ქვემოთ მოცემულ გრაფიკში (იხ. გრაფიკი 7) წარმოდგენილია საცხოვრისების განაწილება გარე კედლების ასაშენებლად გამოყენებული მასალის მიხედვით:

In the chart below (see chart 7) is provided distribution of dwellings by construction materials used for construction of the wall for dwellings:

გრაფიკი 7
Chart 7

საცხოვრისების განაწილება გარე კედლების ასაშენებლად გამოყენებული სამშენებლო მასალების მიხედვით
Distribution of dwellings by construction materials
%



საცხოვრისში გამოყენებული გათბობის ტიპები. საქართველოში ძირითადად არსებობს საცხოვრისების გათბობის ორი სისტემა: გათბობის ინდივიდუალური ცენტრალური სისტემა, რომლისთვისაც გამოიყენება ბუნებრივი გაზი და გათბობის ინდივიდუალური საშუალებები, რომლისთვისაც გამოიყენება როგორც ბუნებრივი გაზი, ისე ელექტროენერგია, შეშა, სასოფლო-სამეურნეო ნარჩენები, მყარი ან თხევადი საწვავი. გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ბუნებრივ გაზზე მომუშავე გათბობის ინდივიდუალურ ცენტრალურ სისტემას იყენებს შინამეურნეობების 10,5%. აღნიშნული მარკენებელი გაცილებით მაღალია საქალაქო დასახლებებში (17,1%), ხოლო სასოფლო დასახლებებში 1,6%-ის ფარგლებშია.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, საცხოვრისების უდიდეს ნაწილში (88,3%) გათბობისთვის გამოიყენება გათბობის ინდივიდუალური საშუალებები (ელექტროენერგია, ბუნებრივი გაზი, შეშა და სხვა), ხოლო საცხოვრისების 1,2% გათბობის გარეშეა.

ქვემოთ მოცემულ გრაფიკში (იხ. გრაფიკი 8) წარმოდგენილია საცხოვრისების განაწილება გათბობის ტიპების მიხედვით:


Heating systems used by dwellings. Basically there are two heating systems in Georgia: an individual central heating system for which natural gas is used and individual heating facilities, for which natural gas, as well as electricity, firewood, agricultural waste, solid or liquid fuel are used. According to the survey results, 10.5% of households use individual heating system operating on natural gas. This indicator is much higher in urban area (17.1%) while in rural area is up to 1.6%.

According to the survey results, in most parts of dwellings (88.3%) individual heating facilities (electricity, natural gas, firewood and other) are used for heating purposes, while 1.2% of the dwellings are without heating.

The chart below (see chart 8) shows distribution of dwellings by types of heating systems:

გრაფიკი 8
Chart 8

საცხოვრისის სტრუქტურა გათბობით უზრუნველყოფილი ფართობის მიხედვით, მ²
Structure of dwelling by heating space, m²
%



გათბობის ინდივიდუალურ საშუალებებში მოხმარებული ენერგორესურსებიდან შინამეურნეობების 44,5% იყენებს ბუნებრივ გაზს, 45,8% - შუმას და სასოფლო-სამეურნეო ნარჩენებს, ხოლო 6,4% - ელექტროენერგიას.


44.5% of households use natural gas for individual heating facilities, 45.8% - firewood and agricultural waste, while 6.4% use electricity.

ქვემოთ მოცემულ გრაფიკში (იხ. გრაფიკი 9) წარმოდგენილია საცხოვრისების განაწილება გათბობის ინდივიდუალურ საშუალებებში გამოყენებული ენერგორესურსების ტიპების მიხედვით:

The chart below provides distribution of dwellings by used energy forms in individual heating facilities.

გრაფიკი 9
Chart 9

საცხოვრისების განაწილება გათბობის ინდივიდუალურ საშუალებებში გამოყენებული ენერგორესურსების მიხედვით
Distribution of dwellings by used energy forms in individual heating facilities
%



წყლის გათბობის სისტემები. გამოკვლევის შედეგების მიხედვით, შინამეურნეობების 65,1% ცხელი წყლის გასათბობად იყენებს ცხელი წყლის მიწოდების ინდივიდუალური სისტემას, როგორცაა წყალგამაცხელებელი ქვაბი და ა.შ. 34,6% სარგებლობს ცხელი წყლის მიწოდების სხვა საშუალებებით (გაზქურა, ელექტრო ღუმელი, შეშის, ქვანახშირის ღუმელი, ელექტრო ჩაიდანს, მზე), ხოლო საცხოვრისების 0,3%-ს მიეწოდება გეოთერმული წყალი. აღსანიშნავია, რომ შინამეურნეობების გარკვეული ნაწილი წყლის გასათბობად ერთდროულად იყენებს როგორც ინდივიდუალურ წყალგამაცხელებელ ქვაბებს, ისე გათბობის ინდივიდუალურ საშუალებებს.


ქვემოთ მოცემულ გრაფიკში (იხ. გრაფიკი 10) წარმოდგენილია საცხოვრისების განაწილება წყლის გათბობის სისტემის ტიპების მიხედვით:

Water heating systems. According to the survey results, 65.1% of the households use individual hot water system, such as water heater etc, 34.6% use other means of hot water supply (gas cooker, electric oven, wood stove, coal stove, electric kettle, sun), and 0.3% of the dwellings are provided with thermal water. It is noteworthy that some part of the households use for water heating simultaneously as individual water heaters and individual facilities.

In the chart below (see chart 10) is provided distribution of dwellings by types of water heating systems:

გრაფიკი 10
Chart 10

საცხოვრისების განაწილება წყლის გათბობის სისტემის ტიპის მიხედვით
Distribution of dwellings by types of water heating system



კონდიციონერების სისტემები. გამოკვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოში კონდიციონერების სისტემით აღჭურვილია საცხოვრისების საერთო რაოდენობის 9,1%, აქედან 21-49 მ² ფართობის გაგრილებას ახდენს შინამეურნეობების 4,7%, ხოლო 100 მ² და მეტი ფართობის გაგრილებას კი - 0,4%. გაგრილების საშუალო ხანგრძლივობა არ აღემატება დღეში 5 საათს.

საჭმლის მომზადების მეთოდი. შინამეურნეობებში საჭმლის მომზადების მეთოდის შესახებ ინფორმაციის შეგროვების მიზნით, გამოკვლევის კითხვარი შეიცავდა ორი ტიპის შეკითხვას. აღნიშნული შეკითხვები აღწერდა ქურებში და ლუმელებში საჭმლის მომზადებისათვის გამოყენებული ენერგორესურსების შესახებ ინფორმაციას. გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ქურებში საჭმლის მომზადებისათვის შინამეურნეობების ნახევარზე მეტი (52,8%) იყენებს ბუნებრივ გაზს (ქალაქად - 77,8%, ხოლო სოფლად - 27,8%), 24,6% - შეშას და სასოფლო-სამეურნეო ნარჩენებს, 16,7% - იყენებს თხევად გაზს, ხოლო ელექტროენერგიას იყენებს შინამეურნეობების 5,7%.


ქვემოთ მოცემულ გრაფიკში (იხ. გრაფიკი 11) წარმოდგენილია შინამეურნეობების განაწილება საჭმლის მომზადებისთვის ქურებში გამოყენებული ენერგორესურსების მიხედვით:

The air conditioning system. According to the survey results, 9.1% of total number of dwellings in Georgia were equipped with air conditioning system. Out of this 21-49 m² of the dwelling space is cooled by 4.7% of households, and the cooling of 100 m² and more space - by 0.4% of households. The average duration of cooling does not exceed 5 hours per day.

Method of cooking: In order to collect information on the method of cooking in households, the survey questionnaire included two types of questions. Above mentioned questions were described the information about energy forms used for cooking at cooker and in the oven. According to the survey results, more than half of households (52.8%) use natural gas for cooking at cooker (77.8% in urban and 27.8% in rural area), 24.6% uses firewood and agricultural waste, 16.7% - liquid gas, while electricity is consumed by 5.7% of households.

In the chart below (see chart 11) is provided distribution of dwellings by used energy forms for cooking at cookers:

შინამეურნეობების განაწილება ქურბებში საჭმლის მოსამზადებლად გამოყენებული ენერგორესურსების ტიპების მიხედვით
Distribution of households by used energy forms for cooking at cookers
%




რაც შეეხება შინამეურნეობების მიერ საჭმლის მომზადებისათვის ღუმელებში გამოყენებულ ენერგორესურსებს, 43,0% მოდის ბუნებრივ გაზზე, 33,7% - შეშაზე და სასოფლო-სამეურნეო ნარჩენებზე. არსებითი წილით არის წარმოდგენილი აგრეთვე ელექტროენერგია (14,9%).

As for energy forms used by households for cooking in the oven, 43.0% come to the natural gas, 33.7% to the firewood and agricultural waste. The substantial share has also electricity (14.9%).

აღნიშნული მაჩვენებლები მნიშვნელოვნად განსხვავდება ქალაქის და სოფლის ქრილში, რაც ნათლად ჩანს ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე (იხ. გრაფიკი 12):

These indicators are significantly different by urban and rural areas, which is clearly visible on the chart below (see chart 12):

შინამეურნეობების განაწილება ღუმელებში გამოყენებული ენერგორესურსების მიხედვით
Distribution of households by used energy forms in the oven
%



სატრანსპორტო საშუალებები. გამოკვლევის შედეგების მიხედვით, შინამეურნეობების 37,4% იყენებს საკუთარ სატრანსპორტო საშუალებას. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში (01.05.2016 - 01.05.2017) შინამეურნეობების მიერ სატრანსპორტო საშუალებებისთვის მოხმარებულია 213,3 მლნ. ლიტრი ბენზინი, 43,5 მლნ. ლიტრი დიზელის საწვავი და 62,5 მლნ. მ³ დაწნეხილი ბუნებრივი გაზი.

Means of Transport. According to the survey results, 37.4% of households use their own vehicle. During the reporting period (01.05.2016 - 01.05.2017) households used for their vehicles 213.3 mil. liters of gasoline, 43.5 mil. liters of diesel fuel and 62.5 mil. m³ compressed natural gas.

ნაწილი 2. მონაცემები შინამეურნეობებში ენერგორესურსების მიღებისა და მოხმარების შესახებ


PART 2. DATA RELATED PURCHASING AND CONSUMPTION OF ENERGY FORMS

ენერგორესურსების შესყიდვა და საჩუქრად მიღება. გამოკვლევის შედეგების მიხედვით, შინამეურნეობების მიერ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში (01.05.2016 – 01.05.2017) საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის შეძენილია 158,9 მლნ. ლარის ღირებულების ენერგორესურსი (ელექტროენერჯის და ბუნებრივი გაზის გარდა). აქედან 109,8 მლნ. ლარი დახარჯულია შეშის შეძენაზე, 45,0 მლნ. ლარი - თხევადი გაზის შეძენაზე, 2,7 მლნ. ლარი - სასოფლო-სამეურნეო ნარჩენების შეძენაზე, ხოლო დანარჩენი ენერგორესურსის შეძენაზე გაწეული ხარჯები სტრუქტურაში უმნიშვნელო წილით არის წარმოდგენილი, რაც ნათლად ჩანს ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე (იხ. გრაფიკი 13):

Purchasing and receiving as a gift of energy forms. According to the survey results, purchased energy forms by households during reference period (01.05.2016 - 01.05.2017) amounted 158.9 mil. GEL (except payment for electricity and natural gas). Of which the amount of 109.8 mil. GEL was paid for the purchase of firewood, 45.0 mil. GEL - for liquefied gases, 2.7 mil. Gel - for the purchase of agricultural waste, while the cost for purchase of other energy forms is presented with insignificant share in the structure, which is clearly visible on the chart below (see chart 13):

*გრაფიკი 13
Chart 13*

